პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ ”

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი1. დამტკიცდეს **2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ ”** წესი პროგრამული კოდი (06.02.13) თანახმად **N1 დანართისა;**

მუხლი2. დამტკიცდეს საპროექტო განაცხადის ფორმა თანახმად **№2 დანართისა;**

მუხლი3. დამტკიცდეს სოციალური მიზნის მქონე პროექტების მხარდაჭერის /თანადაფინანსების მიზნით, წარმოდგენილი პროექტების შესრულების ფინანსური ანგარიშის ფორმა თანახმად **№3 დანართისა;**

მუხლი5.დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 სექტემბრის N30 დადგენილება (ვებ.გვერდი 09/09/2022 წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: (010250050.35.113.016479);

მუხლი6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია